# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 თებერვალი
ხუთშაბათი
2022 წელი
№6 (9216)
ფასი 40 თეთრი


## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქვეყანაში 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ugkwtucT-ი ეხმაურება. რეპორტაჟის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება.

რეპორტიორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ დეფიციტის დაძლევის მიზნით თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტი დაუშვა. მისივე თქმით, საქართველოსთან შედარებით ბევრი მედიკამენტის ფასი თურქეთში 1000%-ით იაფია. რეპორტაჟის ავტორი მოქალაქეების აზრით დაინტერესდა. ნანა შუკაკიძე, რომელსაც ხშირად უწევს აფთიაქში სიარული გულის წამლების შესაძენად, აღნიშნავს, რომ მაღალი ფასების გამო ხანდახან ვერ ახერხებს საკმარისი დოზის შეძენას, რადგან მხოლოდ მცირე თვიური პენსია აქვს. შუკაკიძე აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მედიკამენტების ფასები იმდენად გაიზარდა, რომ ქართველი მოხუცებისთვის ეს ფუფუნება გახდა.

შუკაკიძე განმარტავს: აქ პენსიონერებისთვის წამლები მიუწვდომელია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისთვის ექიმმა ფრანგული წამალი გამომიწერა, თვეში დაახლოებით 70 ევრო მჭირდება, ჩემი შვილები რომ არა, არ ვიცი, როგორ შევძლებდი გადახდას.

რეპორტაჟის ავტორის თქმით, სწორედ ამ მიზეზით, მთავრობამ თურქეთის ბაზრისთვის ეროვნული სექტორის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც მედიკამენტების დეფიციტი აღმოიფხვრება. ￼ევრონიუსის￼ რეპორტიორის თქმით, საქართველოს მთავრობა კომპანიებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ თურქული მედიკამენტები. სიუჟეტი ევრონიუსის ვებგვერდზე ესპანურსა და ფრანგულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

## გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში თოვლის სახით მოსული ნალექის გამო საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

დილიდან იქნა მობილიზებული სპეციალური ტექნიკა და გზებზე იყრება ტექნიკური მარილი, რათა არ მოხდეს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება.

### ჯანმრთელობა აქტუალურია

## ექიმთან კავშირი აუცილებელია

**საყურადღებო სიმპტომები, რომლის დროსაც სამედიცინო დახმარებას უნდა მოვუხმოთ - თუ ომიკრონი გაქვთ და შინ ხართ, ეს რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოთ ინფექციონისტი მაია ბუნაშვილი ომიკრონის გავრცელებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში წერს:**



ომიკრონის შემთხვევების ზრდასთან ერთად ჰოსპიტალური სექტორი მაქსიმალურად მზად უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა მსუბუქად მიმდინარეობს. მაგრამ ამჟამად უფრო დიდი პრობლემაა ბინაზე მართვაში ჩართული ექიმების დეფიციტი. მსუბუქი დაავადების მქონე პაციენტები და უსიმპტომოებიც კი ღელავენ და დიდი უკმაყოფილებაა იმაზე, რომ ექიმი არ დაუკავშირდა, ან ერთხელ დაუკავშირდა და შემდეგ აღარ დაუკონტაქტდა. ოჯახის ექიმები უკიდურესად გადატვირთულები არიან და მათთვის საყვედურის თქმა ნამდვილად არასწორია. თუმცა პაციენტების უკმაყოფილებაც გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ინფიცირებულთა დიდ ნაწილს არავითარი დახმარება არ ჭირდება, ყველა პაციენტს აუცილებლად ესაჭიროება ექიმთან კავშირი. ამიტომ ამ რგოლში (ანუ დისტანციური მეთვალყურეობის) რაც შეიძლება მეტი ექიმის ჩართვა ახლა ძალიან მნიშვნელოვანია. (ალბათ სხვა პროფილის ექიმების სწრაფად ტრეინინგი და კოვიდზე კონსულტირებაში ჩართვაც კარგი იქნებოდა).

მანამდე კი ბინაზე მყოფმა პაციენტებმა უნდა შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ ჩავარდნენ სასოწარკვეთილებაში იმის გამო, რომ ექიმი არ/ვერ უკავშირება და ახსოვდეთ რამდენიმე ძალიან მარტივი წესი (რაც ძალიან ხშირად გაჟღერებულა, ახალი არაფერია, მაგრამ კიდევ ერთხელ გამეორება, ალბათ არ იქნება ზედმეტი ამჟამინდელი ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით):

1.კოვიდის დიაგნოზი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად რაიმე წამალი უნდა მიიღოთ. უმრავლესობას არავითარი წამალი არ სჭირდება.

2. ომიკრონისთვის ზოგჯერ დამახასიათებელია ძლიერი ყელის ტკივილი, რაც ადამიანებს ძალიან აშინებთ. ტკივილი მართლად ძალიან შემაწუხებელია, მაგრამ როგორც წესი, არავითარ გართულებებს არ იწვევს და რამდენიმე დღე თუ მოითმენთ, აუცილებლად გაივლის. შეიძლება დავეხმაროთ გამაყუჩებლებით და სავლებით.

3. ისევ აქტუალურია სატურაციის ზომვა. კიდევ ერთხელ შეხსენებისთვის, თითი თბილი უნდა იყოს გაზომვისას. ნორმალური მაჩვენებელია ჟანგბადის შემცველობა 94-ზე მეტი.

4. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია გარკვეული კვლევები, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ყველა ინფიცირებულმა აუცილებლად უნდა ჩაიტაროს. ამას ექიმი წყვეტს და თუ აუცილებლად არ მიაჩნია, ამის გამო ნუ ვეჩხუბებით ექიმებს. თქვენივე სასიკეთოდ გირჩევთ, რომ არ გჭირდებათ ტომოგრაფია და ხშირად ლაბორატორიული კვლევებიც, რომელთა გასაკეთებლად ზოგჯერ რიგებში მოგიწევთ დგომა, ხშირად სრულიად არასაჭიროდ.

5. კოვიდს არავითარი გადასხმები არ ჭირდება. თუ სითხის მიღება შეგვიძლია, გადასხმის არავითარი საჭიროება არ არსებობს. გადასხმა არ არის მკურნალობა, უბრალოდ სითხის შევსებაა.

6. საყურადღებო სიმპტომები, რომლის დროსაც სამედიცინო დახმარებას უნდა მოვუხმოთ, არის გულმკერდის არეში ტკივილი და ზეწოლა, გამოფხიზლების გაძნელება, მნიშვნელოვნად გამოხატული ქოშინი.

7. სიცხე, თუნდაც მაღალი, ჩვეულებრივი სიმპტომია და არ ნიშნავს, რომ დაავადება მძიმედ მიმდინარეობს. თუ დაავადების მიმდინარეობისას ტემპერატურა დაუბრუნდა ნორმალურ ციფრებს სიცხის დამწევის გარეშე და შემდეგ დღეებში ისევ მკვეთრად მოიმატა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საყურადღებო იყოს.

8. იზოლაციის ვადა შემცირდა 8 დღემდე უსიმპტომო და მსუბუქი შემთხვევებისთვის.

ჯანმრთელობას და გამძლეობას გისურვებთ ყველას.

## ბორჯომში ინფო-ტური მოეწყო



**სამცხე-ჯავახეთის** დანიშნულების ადგილების მართვის ორგანიზაციის (DMO) ინიციატივითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ინფო (ფოტო) ტური მოეწყო.

ტურში მონაწილეობდნენ ტურისტული კომპანია „ჯორჯიან ჰოლიდეიზის“ გიდები, ფოტოგრაფები და ბლოგერები.

ორდღიანი ტურის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარის ზამთრის ლაშქრობის შესაძლებლობებს, პროფესიონალმა ფოტოგრაფებმა გადაიღეს ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი, პლატო, სერაფიმე საროველის მონასტერი, ეიფელის ხიდი, სამთო-სათხილამურო კურორტი ბაკურიანი და ტაბაწყურის გაყინული ტბა.

ასევე, მოეწყო ბურანების ტური.

ფოტო-ტურის მიზანია ბორჯომის ზამთრის ტურიზმის პოპულარიზაცია, ექსტრემალური ტურიზმის გაფართოება, სხვადასხვა სათავგადასავლო შეთავაზებები ევროპის ტურისტული ბაზრისათვის.

## წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს




**2021 წელს** ბორჯომის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ათ სოფელში განხორციელდა.

სამუშაოები დასრულდა ცხრა სოფელში - ანდეზიტში, ყვიბისში, კორტანეთში, ჭიხარულაში, დვირში, ტაბაწყურში, ციხისჯვარში, ახალდაბაში და ცემში.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი გრძელდება სოფელ საკირეში.

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია უტარდება სათავე-ნაგებობებს, იცვლება მაგისტრალზე დაზიანებული მონაკვეთები, მოეწყო ახალი 300 კბმ-ს რეზერვუარი და შეიცვლება შიდა ქსელი.

სოფელ საკირეში, სადაც 400-მდე ოჯახი ცხოვრობს, პროექტის დასრულების შემდგომ, მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა.

სოფელ ჭიხარულაში, დვირში, ტაბაწყურში, ცემში, კორტანეთში და ციხისჯვარში სასმელი წყლის რეაბილიტაცია „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

## სხდომაზე განხილული განცხადებები



**7 თებერვალს** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მერაბ იობაშვილმა** მორიგი სხდომა გამართა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემბერ კურტანიძე,** ა(ა) იპ ბორჯომის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი **გოგა გელაშვილი,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ვაჟა გელაშვილი** და ამავე კომისიის წევრები.

სხდომაზე განიხილეს მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც ხე-მცენარეების გადაბელვას ან მოჭრას ითხოვენ.

კომისიის წევრებმა წარმოადგინეს ადგილზე შესწავლილი ვითარების დასკვნები, საფუძვლიანად იმსჯელეს თითოეულ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესახებ და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

გაზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით დაისახა მრავალფეროვანი ღონისძიებები ქალაქში ხე-მცენარეების მოჭრის, გადაბელვის და დარგვის სამუშაოების განსახორციელებლად. ადგილზე გაეცნენ ხე-მცენარეების მდგომარეობას.

## ჩვენს მკითხველებს!

**მეგობრებო!**

**კოვიდინფექციამ არნახული პრობლემები შექმნა მსოფილოში. განსაკუთრებით საგანგაშო ნიშნულამდე დაეცა ეკონომიკა და სოციალური სფერო, კატასტროფულად გაიზარდა ფასები მედიკამენტებზე, ენერგომატარებლებზე, სამრეწველო და სასურსათო პროდუქციაზე. რამაც კრიზისული სიტუაცია შექმნა მრავალ ქვეყანაში.**

**პრობლემები არც კოვიდამდე აკლდა ჩვენს სამშობლოს და არც ახლა ვცხოვრობთ დამშვიდებულად. ისედაც გაძვირებული ცხოვრება უფრო გაუსაძლისი გაგვიხდა. ურთულეს პირობებშიგვიწევს გაზეთ „ბორჯომის“ თითოეული ნომრის გამოცემა. რედაქციის თანამშრომლებს სიმბოლური ხელფასები გვაქვს. დღეს ჟურნალისტის მძიმე შრომის გასამრჯელო თვეში 300-350 ლარია. ყოველივე ამას დაემატა უსაშველოდ გაზრდილი პოლიგრაფიული ხარჯები, რამაც გამოუვალ სიტუაციაში ჩაგვაყენა. იძულებული ვართ, ფერადი გაზეთის გამოცემისგან დროებით თავი შევიკავოთ. ფინანსური პრობლემების მიუხედავად, გაზეთი „ბორჯომი“ არ წყვეტს გამოსვლას, მკითხველი ყოველ კვირას მიიღებს გაზეთის ახალ ნომერს. რედაქცია არ დააღალატებს თავის მკითხველს.**

**პატივისცემით გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“**

## მეცნიერის აზრი

# გაიღვიძე საქართველო... გამოფხიზლდი!!!



**უკვე 30 წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა და ისევ იმ სიდუხჭირესა და უბედურებაში ვიმყოფებით, რითაც ჩვენი დამოუკიდებლობა დაიწყო!**

1992 წლამდე საქართველოს რესპუბლიკა ეკონომიურად ერთ-ერთი უძლიერესი რესპუბლიკა იყო. საქართველოში არ არსებობდა და არც იყო საჭირო უფასო სასადილოები, იშვიათად ნახავდით მათხოვარს, ვერ ნახავდით უმუშევარს. დღეს უფასო სასადილოებთან რიგი დგას. მათხოვრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ, უმუშევრობით გაივსო საქართველოს. აბა გავიხსენოთ: 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია სულიერად, მატერიალურად, ფიზიკურად და პოლიტიკურადაც სრულიად განადგურებული ქვეყანა იყო. 23 წლის შემდეგ, ანუ 1968 წელს კი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ იქცა. იგივე შეიძლება ითქვას იაპონიაზეც. 1945 წლის შემოდგომისთვის კაპიტულირებული, ატომურ ბომბებდაცემული და მორალურად დაცემული იაპონია, 23 წლის შემდეგ ან 1968 წელს უკვე ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნად ითვლებოდა. დღესაც კი ამ ქვეყანას პერმანენტულად თავს ატყდება უძლიერესი ბუნებრივი კატაკლიზმები, მაგრამ ნახეთ, როგორ უმკლავდებიან იაპონელები ყველაფერს. ამ ფონზეც კი იაპონია ბევრი მონაცემით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ავიღოთ ისრაელიც. იგი მუდმივადაა ჩართული ომში. მისი ტერიტორია სამჯერ ნაკლებია საქართველოზე. მოსახლეობა კი ორჯერ მეტია, კლიმატი და ბუნებრივი პირობები ბევრად უარესია, ვიდრე საქართველოში. მიუხედავად ამისა, უდაბნოში ყვავის ისრაელი. ისრაელში მეცნიერებაზე იხარჯება მშპ-ის 4.4%-ს, რაც 2-ჯერ მეტია აშშ-ის შესაბამის ხარჯზე. 40-ჯერ მეტია საქართველოს შესაბამის ხარჯზე. ამიტომაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს ერთ სულ მოსახლეზე. მთლიანი შიდა პროდუქტი არის 37 035 აშშ დოლარი. საქართველოში 5200 აშშ-დოლარი და მსოფლიოში 119-ე ადგილზე ვართ ამ მაჩვენებლით, საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: უკრაინა - 6700 აშშ დოლარი, სერბეთი - 10900 აშშ დოლარი, მაკედონია - 9700 აშშ დოლარი, აზერბაიჯანი - 10200 აშშ დოლარი, საქართველო ჩამორჩება სომხეთსაც (5400 აშშ დოლარი), რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ჩვენთან შედარებით ბევრად უარეს მდგომარეობაშია.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში 1987-1989 წლებში ყოველწლიურად იწარმოებოდა 36 მილიარდი აშშ დოლარის პროდუქცია (დღევანდელი კურსის შესაბამისად), ხოლო 2013 წელს ვაწარმოეთ 1 მილიარდი აშშ დოლარის პროდუქცია (საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ 18 კგ. მარცვლეულს - მოვიხმართ 128კგ.-ს, ხორცს ვაწარმოებთ 9კგ.-ს, მოვიხმართ 26კგ.-ს). ჰოლანდიაში და სხვა ქვეყნებში ძროხები 6-ჯერ მეტ რძეს იწველიან, ვიდრე საქართველოში, იქვე სიმინდის მოსავალს ერთი ჰექტრიდან 8-15 ტონას იღებენ, ხოლო ჩვენთან 3-5 ტონას, ხორბლის მოსავალს 4-8 ტონას, ხოლო ჩვენთან 1-2 ტონას. ჰოლანდია ტერიტორიით ჩვენზე პატარა ქვეყანაა, მოსახლეობით ჩვენზე მეტი. იქ ზღვა ზამთარში იყინება, მაგრამ იმდენ თევზს იჭერენ, რომ მრავალ ქვეყანაში გააქვთ გასაყიდად. ჰოლანდია მსოფლიოში საუკეთესო გემთმშენებელია. ჩვენ ასჯერ უკეთესი კლიმატური პირობები გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს რამდენამდე მაინც განვითარებული თევზჭერის ინდუსტრია. ჩვენს ისტორიულად საზღვაო ქვეყანას ერთი ნავიც არ გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა პერიოდში რამდენიმე ეგზემპლიარს. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი ჰოლანდიელი წელიწადში უშვებს 179 227 ევროს ღირებულების პროდუქციას, ხოლო მისი ქართველი კოლეგა იმავე პერიოდში - სულ 1103 ევროს ღირებულების პროდუქციას. ანუ, თუ სხვაგვარად ვიტყვით, ერთი ჰოლანდიელი უდრის 182 ქართველს. დიახ, 1182. ვაღიაროთ, რომ შეურაცხმყოფელი ციფრებია! **ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. რატომ მათ არ დასჭირდათ ფეხზე დასადგომად „დიდი ხანი"? რატომ ჩვენ ვერაფერი შევძელით კინკლაობების, შიდაომების, მექრთამეობის, დატაცებისა და ყაჩაღობის გარდა? რატომ არის ჩემი თანამოქალაქე ღატაკი, შეურაცხყოფილი და გაბითურებული? რატომ ვერ ვხედავ ჩემივე სამშობლოში მომღიმარ სახეებს? რატომ ტყუის ყველა მთავრობა? რატომ მიდის ქართველი ქალი და კაცი სხვა ქვეყანაში შავ მუშად? და სხვა ბევრი რატომ, რატომ და რატომ?**

კატასტროფაა, რომ სტატისტიკის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 36.9% და ოჯახების 45% რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

საქართველოს 4700 სოფლიდან 700-ზე მეტი სოფელი საქართველოში იყო ქართველებით დასახლებული სოფელი მარტყოფი, ეხლა ყველაზე დიდი სოფლებია ლაგოდეხში სოფელი კაბალი და საგარეჯოში იორმუღალო, რომელიც ძირითადად აზერბაიჯანელებითაა დასახლებული.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსალეობამ 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა და 1814 წელთან შედარებით 5.3-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. 1992 წელს - 5 467 ათასი კაცი. ცნობილი მიზეზების გამო, ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და ოფიციალური მონაცემებით, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში. ისტორიულად სამხრეთ და საერთოდ კავკასიაში ქართველები და საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგში ვითარება არსებითად შეიცვალა. 1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1%, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს 28,1%, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 18,9% შეადგინა. სამაგიეროდ 1926-2010 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30,4%-დან 38,0%-მდე გაიზარდა!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის წილი სულ უფრო მცირდება, ასევე კავკასიის მთელ მოსახლეობაშიც. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა წამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5%-ს შეადგენდა, აზერბაიჯანისა - 39,5-ს, ხოლო სომხეთისა - 15,0%-ს. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 34%-ით გაიზრდება, სომხეთის მოსახლეობა - 7%-ით, საქართველოს მოსახლე ობა კი 28%-ით შემცირდება!!!

საქართველოში ქართველი ერის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ადრინდელ მიმზიდველობას კარგავენ ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.

ასეთ ვითარებაში ეროვნული ცნობიერების შემცირება გარდაუვალია, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს. ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელია გაუკაცრიელებული - გაცივდა უკანასკნელი კერა. კარგად ჩაუფიქრდით შემდეგ მონაცემებს: 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 162 სოფელში უკვე მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. 10 კაცი და უფრო ნაკლები მოსახლეობაა 152 სოფელში, ხოლო 905, ანუ ყოველ მეოთხე სოფელში მხოლოდ 100-მდე მცხოვრებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადად მთის ძნელმისადგომ სოფლებში უგზოობის, უშუქობისა და ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე ძირითადად მოხუცებიღაა დარჩენილი, რომლებიც უიმედოდ ითვლიან თავიანთი ცხოვრების დარჩენილ დღეებს.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ მოსახლეობისგან ცარიელდება საქართველოს ისტორიული კუთხეები - რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 000 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი იქ მხოლოდ 22 000 კაცი ცხოვრობს - ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები. გამოდის, რომ მტერი და აგრესორი სულაც არ არის საჭირო, რომ ჩვენ გვავნოს. ჩვენ თვითონვე გავქრებით დედამიწის ზურგიდან და ამისთვის დიდი დროც არ დაგვჭირდება. თუ ყველაფერ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენი ქვეყნის საგარეო პრობლემებსაც დავუმატებთ და იმასაც გავაანალიზებთ, თუ რა რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში გვიწევს არსებობა, ძნელია დიდი ოპტიმიზმით განიმსჭვალო და ცხოვრებას მხნედ შეხედო. დიახ, ქართველები ვიყავით და ვართ შემწყნარებლები, უცხოელებს უფრო წინა პლანზე ვაყენებდით და ვაყენებთ და პატივს ვცემდით და ვცემთ, ვიდრე საკუთარ მოყვასს. ჩვენმა ტოლერანტობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს ქვეყანაში 70-ზე მეტი ერი ცხოვრობს. ყველა ქართველებზე მეტ ყურადღებას მოითხოვს და რაც ხდება, მე მგონი, არ არის საჭირო განვმარტო, რადგან კარგად ვიცით. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, როგორ მოგწონთ სატელევიზიო შოუები - გადაცემები, სადაც ჟურნალისტები, პოლიტიკოსებს როგორც მამლებსა და ძაღლებს წააჩხუბებენ და ზემოდან სეირს უყურებენ, ისე ჩვენც ტელევიზორის ეკრანებიდან ვუყურებთ, როგორ ლანძღავს და აგინებს ერთი ქართველი მეორე ქართველს. როგორ მოგწონთ ჩვენი ცნობილი პოეტები როგორი სიბილწით ლანძღავენ ერთმანეთს.?! ჩვენი „საამაყო" დეპუტატები ერთმანეთის ლანძღვით და გინებით გულს რომ იჯერებენ, მერე მუშტი-კრივზე გადადიან. ქართული გაზეთები როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს ლანძღვა-გინებაში და ერთმანეთზე კომპრომატების მოძიებაში. როდემდე ვიჩხუბოთ და ვლანძღოთ ერთმანეთი, როდემდე ვცვალოთ მთავრობა და პარლამენტი, ხომ არ დადგა დრო, შევწყვიტოთ ქუჩის აქციები და მიტინგები, ყველა შევრიგდეთ, გამოვაცხადოთ ამნისტია? ჯანსაღი, ნორმალური კრიტიკით ვიცხოვროთ!**

**ანზორ მესხიშვილი.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

---

### რაიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებში

# სანიტარული წესრიგი უპირველესია!

**რაც თავი მახსოვს (თითქმის ოთხი ათეული წელია, ბორჯომელი გავხდი), ბორჯომის დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელებად ენერგიული, საქმიანი, თავის ქალაქზე შეყვარებული ადამიანები მუშაობდნენ. ასეთი აღმოჩნდა კეთილმოწყობის სამსახურის ამჟამინდელი უფროსი გიორგი (გოგა) გელაშვილიც, რომელიც რაიონში საკმაოდ მრავალრიცხოვან კოლექტივს (131 კაცი) 2019 წლიდან უდგას სათავეში.**



ბატონ გოგასთან საუბარში გავიხსენეთ, ამ სამი ათეული წლის წინ (კომუნისტების პერიოდში) რა დღეში იყო დასუფთავება. არ იყო ამდენი სანაგვე ურნა, თანაც დიდი კონტეინერები, ცენტრალურ ქუჩაზე აქა-იქ თუ შეხვდებოდით პატარა სანაგვე ყუთებს. ქალაქის განაპირა და მეორეხარისხოვან ქუჩებზე მოსახლეობას ამორჩეული ჰქონდა რაღაც ადგილი და იქ იყრებოდა ნაგავი, რომელსაც მანქანა კვირაში ერთხელ თუ მოაკითხავდა. მოსახლეობის ნაწილი მტკვარში ყრიდა ნაგავს, რომლის წინააღმდეგაც, განსაკუთრებით ზაფხულის საკურორტო სეზონზე, ქალაქის ხელმძღვანელობას, მათ შორის ჩვენს რედაქციასაც, მტკიცე ბრძოლა გვქონდა გამოცხადებული. ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ნუგზარ ქარელი რამდენჯერ ჩასაფრებია მდინარეებში ნაგვის გადამყრელებს და ის წამები მაშინ დაუფიქსირებია, ქალბატონები მდინარის საყრდენ კედელზე რომ იყვნენ გადაყუდებულები და სავსე ვედროებიდან ნაგავს მდინარეში ყრიდნენ.

წავიდა ის „ავადსახსენებელი" დრო. ახლა კეთილმოწყობის სამსახურს აქვს 5 ნაგავსაყრელი, უახლესი სტანდარტის და დიდი ტევადობის მანქანა. ქუჩების მორწყვისათვის ორი მანქანა, თოვლის და ნაგვის გამწმენდი სამი ტრაქტორი (მათ შორის ორი მუხლუხა, ერთი თვითმცლელი მანქანა. ვაშლოვანის დასაწყისიდან ლიკნის დასასრულამდე მთავარ მაგისტრალს ემსახურება 48 მეეზოვე, რომლებიც ყოველდღე ასუფთავებენ მათზე განკუთვნილ მონაკვეთს. (ზაფხულში დილის 4 საათიდან იწყებენ მუშაობას).

ბოლო წლებში ცალკე „ზონად" გამოიყო ბაკურიანი, სადაც ჰყავთ სამი ნაგავმზიდი. მუშაობს 7 მეეზოვე და ექვსი მუშა. ახალდაბაში აქვთ სამი ნაგავმზიდი, მუშაობს 7 მეეზოვე და ექვსი მუშა. ჰყავთ სამი მეეზოვე, წაღვერში - 4.

ზამთრის საკურორტო სეზონზე ბაკურიანს კიდევ მიამაგრეს 2 ნაგავმზიდი. თითქმის ორი თვეა, ბატონი გოგა პირადად ხელმძღვანელობს ბაკურიანის დასუფთავებას. ნაგავი გააქვთ დღეში ორჯერ, შუადღისას და საღამოს 8 საათიდან. ნაგავმზიდები ჩადიან მიტარბში, ანდეზიტში, ციხისჯვარში და იქიდანაც გამოაქვთ ნაგავი. შარშან შემოტანილი 100 ურნიდან 70 უწილადეს ბაკურიანს.

ადრე თუ ნაგავი გაჰქონდათ დვირის, ხოლო შემდეგ ქვაბისხევის ნაგავსაყრელზე (რითაც შეწუხებული იყო ამ სოფლების მოსახლეობა), რამდენიმე წელია ნაგავი იტვირთება არდაგანიდან ერთ კილომეტრში აშენებულ ნაგავშემკრებში. აქ ნაგავმზიდებში დაპრესილი ნაგავი დღის ნებისმიერ დროს მიაქვთ, საიდანაც ხაშურის ნაგავსაყრელზე მიემართება.

ბორჯომში კარგად მუშაობს 10-კაციანი „სპეციალური" ბრიგადა **დიმა გაბრიელოვის და ნუგზარ ღამბაშიძის** ხელმძღვანელობით, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებენ. (მაგალითად, ხეების გადაბელვა, ნარჩენების გატანა, მდინარის პირების დასუფთავება, სოფლების განაპირა უბნების დასუფთავება და სხვა).

გოგამ თავის ტელეფონში მაჩვენა, სოფელ სადგერში „გოგირდის აბანოების" ჩასასვლელი როგორ გადავსებული იყო ნაგვით. სირცხვილია! გვახსოვდეს: ასეთ ადგილებში ტურისტებიც მოძრაობენ.

თვეში ერთხელ ხდება ნაგვის ურნების სტერილიზაცია, აგრეთვე ასეთ სამუშაოებს სკვერებშიც აწარმოებენ.

მოწინავეების დასახელება ვთხოვე, ბატონ გოგას გაეღიმა და მითხრა, რომ ყველა მოწინავეა და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

ჩვენ მაინც გვაქვს ორიოდე შენიშვნა: შარშან ქალაქის ცენტრის ტერიტორიები თოვლისგან და ყინულისაგან ოპერატიულად იწმინდებოდა, წელს კი მეეზოვეებმა „იზარმაცეს". რატომ? ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ დირექტორის მოადგილეებმა.

მერიის შენობის წინ, საავტომობილო გზის მეორე მხარეს, ტროტუარის რკინის ღობეს შიგნიდან ჩამოკიდებული აქვს ნაგვის მწვანე ყუთები. კარგი იქნება, თუ ეს ყუთები სამანქანე გზის მხარეს დამაგრდება, რადგან ტროტუარი ვიწროა და ხალხის ინტენსიური მოძრაობის დროს ჭირს გადაადგილება. არის სხვა საკითხები, რომელთა მოწესრიგება ამ სამსახურის უპირველესი მოვალეობაა.

**უშანგი ჯანგირაშვილი.**

---

# ენდობიან მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს



**დავით მაისურაძე** სპეციალობით ვეტერინარია. იგი ათეული წლებია ბორჯომის მუნიციპალიტეტში ცხოველებისა და ფრინველების ყველა სახეობის ინფექციურ დაავადებებს მკურნალობს. მასთან დასახმარებლად დღემდე არ წყდება სატელეფონო ზარები. ვეტერინარი ექიმი ნებისმიერ დროს მზადაა პირნათლად შეასრულოს სპეციალობით დაკისრებული მოვალეობა. ხშირად რეკავენ და წუხილით ეუბნებიან ცხოველთა ავადობის შესახებ, მისგან რჩევებს იღებენ, რის შემდეგაც ხშირად გამოჯანმრთელების პროცესი მალევე წარმატებით დასრულებულა.

მისი გამოცდილება მრავლისმთქმელია, 14 წელიწადი იმუშავა ყვიბისის ვეტუბნის გამგე-ვეტექიმად, 2005-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ვეტერინარული დეპარტამენტის, ბორჯომის რაიონის სახელმწიფო ვეტინსპექციის მთავარ სპეციალისტად, იყო სახელმწიფო ვეტინსპექტორი, ამასთან ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვეტმომსახურების სოციალური პროგრამის ჯგუფის უფროსი, სამი წლის განმავლობაში, 2006-2008 წლებში გახლდათ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ პროექტის, ბიზნესის განვითარების პროგრამა BDP ბორჯომის ვეტერინარ-კონსულტანტი ექიმი.

ვეტერინარ ექიმთა სახელმწიფო სასერტიფიკაციო საბჭოს მიერ კერძო სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმიანობისათვის მიენიჭა სახელმწიფო სერტიფიკატი.

შარშან მას 150-მდე მოქალაქე დაუკავშირდა კონსულტაციის მიზნით, ენდობიან მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს, არა მხოლოდ ბორჯომში, არამედ სხვა რაიონებშიც.

ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ მცირე კონსულტაცია ვთხოვეთ ჩვენს რესპონდენტს, საუბარი ასე დაიწყო: - „მედიცინის მუშაკი კურნავს მხოლოდ ადამიანს, ხოლო ვეტერინარი მთელ კაცობრიობასო", - ამბობდა მეცნიერ-ბიოლოგი პავლოვი. ამ სიტყვებით ცხადი ხდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვეტერინარს კაცობრიობის ჯანმრთელობისათვის. ცხოველებისთვის მთავარ საყრდენს მათზე ზრუნვა წარმოადგენს.

**იზა იანვარაშვილი**

## პოეტი ტარიელ ხარხელაური თავისი თვალით დანახულ დღევანდელობაზე საუბრობს



# ამ კაცის ხმას მოვუსმინოთ, ქართველებო!

– სანამ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სივრცე ასე დაბინდულია, სანამ ერის გონება ზიზღისა და სიძულვილის მდინარით ირწყვება, რაიმე დიდის მოლოდინით ნურც ამ წელს ჩავაგდებთ უხერხულ მდგომარეობაში. სანამ ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის, მომავლის მხოლოდ ახალი წლის ანაბარად დატოვება, გულგამორეცხილობის თუ არა, უხერხულობის განცდა მაინც არის. ამ ფიქრებით დამძიმებული ვერც ლაღი ვიქნები და არც გამომივა „ბედნიერი" ახალი წლის მოლოცვა, რადგან ბედნიერებასა და მოსალოცზეც სულ სხვანაირი წარმოდგენა მაქვს. როგორ შეიძლება ბედნიერი ეწოდოს ერს, რომელსაც უამრავი ყოფითი სირთულისთვის თავი ვერ გაურთმევია; გარშემო გამეფებული სიძულვილი ვერ შეუმცირებია; როდესაც ყოველდღიურად მსოფლიოს დღევანდელობის სენით ამდენი ადამიანი იხოცება, როცა იცი, რამდენ ცრემლიან თვალს აშრობს ზამთრის ქარი და სიცივე, მე ვერ ვიქნები მართალი და გულწრფელი ჩემს ქვეყანასა და ხალხს ბედნიერი ახალი წელზე ვესაუბრო და მრავალფეროვანი მილოცვები ვუგზავნო. ნაკლული ბედნიერება კი არ არსებობს... არადა, 75 წლის კაცი ვარ და ოცნებად მაქვს ქცეული, ჩემს ქვეყანას ბედნიერი ახალი წელი მოვულოცო, რადგან მწამს, ღირსეულად შეძლებს ატაროს. ამ ასაკის ტყუილ-უბრალოდ არ მოვყრილვარ, ბევრი რამ მინახავს. სანამ წერას დავიწყებდი, გლეხი ვიყავი, თუმცა გლეხი, მწყემსიც და კალმის კაციც ერთნაირად დარდობს სამშობლოს... ასეთი შეცვლილი, უცნაური გზით მიმავალი ხალხი და ქვეყანა - არც მახსოვს. დედაჩემის მამა ფშაველი კაცი იყო, მისი გაზრდილი ვარ. არასდროს ცდილობდა მიეთითებინა ჩემთვის, ეს ასე გააკეთეო, უბრალოდ, თავისი ცხოვრებით მაჩვენებდა მაგალითს - თუ რამეს არასწორად გავაკეთებდი, ამოიოხრებდა და ამით ვხვდებოდი, რომ რაღაც ცუდად გავაკეთე, რაღაც დავაშავე... მეც ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. ჩემს ბავშვობაში ხორბალი მოგვყავდა, კალოები ილეწებოდა. პაპამ მუშაობას შემაჩვია და მისი ხათრით, მეც დავრბოდი მინდვრებში. ოღონდ პაპას არასდროს დაუძალებია, უნდა იმუშაოო, არც ის უთქვამს, წამო, დილიდან ჩემთან ერთად - იმუშავეო, თავისი ქცევით, ცხოვრების წესით მაძლევდა მაგალითს და სტიმულს, რომ შრომას შევჩვეოდი. პატარა გოდორი დამიწნა, მას კი დიდი გოდორი ჰქონდა და მის გვერდით რომ მივდიოდი, მიხაროდა. ჯერ ხის ცელი გამიკეთა სათიბად, მერე რკინის და ასე შემაჩვია თიბვას... მის გვერდით შრომა მიხაროდა. ეს იყო კაცი, რომლისაც მჯეროდა და ახლაც მჯერა. ოჯახის სხვა წევრი ჩემს აღზრდაში არასდროს ჩარეულა, პაპამ შექმნა ჩემში თუ რამე ღირებულია. ჩემი ლექსებიც მან ნახა პირველად, ღამით, მთვარის შუქზე რომ ვწერდი, თან ვჩურჩულებდი და ისე ვწერდი. პაპა დაინტერესებულა - ჩემი ნაწერები მასწავლებლისთვის უჩვენებია. როდესაც მასწავლებელს უთქვამს, ლექსებს წერსო, უნერვიულია. ლექსის წერა მაინცდამაინც კარგ ტონად არ მიიჩნეოდა გლეხკაცისთვის. მერეც არაერთხელ უკითხავს, რაზე წერ, კარგად უნდა დაფიქრდე, რა გზას მიჰყვებიო... ნერვიულობდა, მაგრამ არასდროს უჩვენებია, რომ ჩემში ეჭვი ეპარებოდა, თანატოლივით მესაუბრებოდა და ასე იგებდა, რა მასა ჩადო ჩემში და რას მიიღებდა. ახლა მშობლებს შვილებისთვის არ სცალიათ, არც შვილებს სცალიათ მშობლებისთვის, სამწუხაროდ. პაპა კი, მთელი დღის ნამუშევარი, ხელებდაკოჟრილი, ნაშრომ-ნაჯაფი კაცი, დაუღალავად უსმენდა ჩემს ბუტბუტს და არასდროს მიგრძნია, რომ არ აინტერესებდა. არ ვიცი, სად და როდის გაქრა უფროს და უმცროს თაობას შორის ეს ემოციური კვანძი. თუ რამე ადამიანურია ჩემში, მას ვუმადლი, მისი დამსახურებაა. დღესაც მჯერა მისი, მჯერა, რომ ამ ასაკშიც მისი მეთვალყურეობით ვიზრდები და თუ რამე არასწორად გამომივა, პირველ რიგში, მის წინაშე ვგრძნობ დანაშაულს. ისეთი ბავშვობა მქონდა, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ჩემი საქმე კალამი, წერა იქნებოდა, რადგან წიგნისგან, განათლებისგან შორს ვიყავი. მაშინ უმეტესობა ასე იყო, მთაში ცოტა ბავშვს თუ ჰყავდა სახლში ვინმე ისეთი, ვინც ბუხართან გვერდზე მოისვამდა და წიგნს წაუკითხავდა, მაგრამ კითხვა მაინც შემიყვარდა. ამას უფალთან ერთად, პაპასაც ვუმადლი, მან ჩადო ჩემს ქვეცნობიერში წიგნის, ადამიანის სიყვარული და შთამაგონა. პაპა ვაჟას სოფლიდან, ჩარგლიდან იყო წამოსული. მისი თაობის კაცები ხანდახან მასზე საუბრობდნენ, ოღონდ რაღაცნაირად სიფრთხილითა და კრძალვით. ეს განცდა მეც გადმომედო. ვიცოდი, რომ ჩემს საუკუნეში ვაჟამ ჩაიარა. ახლა კი ყველა მარტივად უყურებს წერას, მწერლობას და პოეტობას... თუ ერთი რამე დაუწერია, უკვე ჰგონია, პოეტია, ეპოქა შექმნა და ისტორიაშიც დაიმკვიდრა თავი. ჩვენს დროს ასე არ იყო - გვესმოდა, რომ ვაჟას, აკაკისა და მათი თაობის სხვა ბუმბერაზების ნაკვალევზე სიარული და თავის დამკვიდრება ძალიან ძნელი იქნებოდა. 30 წელს გადაბიჯებული მქონდა, როდესაც განგების ძალით კალამი ავიღე ხელში და ის, რომ მათ გზას მივყვები, უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. ამ ბუმბერაზებში შენი საკუთარი ხმა, სივრცე უნდა შექმნა, მათ გზას ვერ გაიმეორებ, შენებურად უნდა დაინახო და გადმოსცე. ყველა ადამიანს თავისი პოეზია აქვს, თავისი მწვერვალი, მთავარია ის კიბე არ დავკარგოთ, რომელმაც მწვერვალისკენ უნდა წაგვიყვანოს... მაგრამ დაკარგვამდე, ჯერ უნდა ვიპოვოთ, შევქმნათ, გამოვძერწოთ. ჩვენ კი თითქოს პოვნის სურვილიც დავკარგეთ. არადა, ამ პატარა ერს ძალიან ბევრი საამაყო აქვს. ჩვენ ერთი რამე გვავიწყდება - რაც უფალმა დღევანდელ დღედ მოგვცა, ხვალისთვის არ უნდა ვაქციოთ, არ უნდა გადავდოთ და არც იმას დაველოდოთ, სხვა როდის გააკეთებს ჩვენს საქმეს, საშინაოს თუ საგარეოს... მე სამშობლოს სიყვარულს არც ღმერთთან დავთმობდი, არც მასზე გავცვლიდი. ჩემთვის სამშობლოა მთავარი და ჩემი თავისუფლებაც ჩემი სამშობლოა. ისიც მესმის, არც ისეთი თავისუფლება გვჭირდება, მარტო რომ ვიყოთ - თავისუფალი უნდა ვიყოთ, მაგრამ სხვაც უნდა გვჭირდებოდეს და სხვასაც ვჭირდებოდეთ, ოღონდ სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უფრო კარგად ვიცით, რა და როგორ გვინდა, რა და როგორ სჯობია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი მომავლისთვის. უფრო ადვილი გვეჩვენება სხვისი გაკეთებული. ხვალინდელ დღეზე, მომავალ თაობაზე არ ვფიქრობთ, თითქოს არც გვედარდება. მე ომის შემდგომი თაობა ვარ და კარგად მახსოვს, რა ხდებოდა იმ წლებში - გაჭირვება, შიმშილი, სიღატაკე, მაგრამ ვის მოუვიდოდა აზრად ეწუწუნა, ან თავისი ცუდად ყოფნა სხვისთვის დაებრალებინა. მთელი სოფელი გაჭირვებაში იყო, მაგრამ ყველა ერთად ცდილობდა გადარჩენილიყო და ერთმანეთიც გადაერჩინათ. გადარჩნენ კიდეც...

**ახლა ხშირად მეკითხებიან, რას ხედავთ, როგორია გზა, რომელსაც მივყვებითო. ის რიხიანი, რისკიანი, შემტევი და რაც მთავარია, ყველაფერში გულწრფელი ხალხი, სადღაც გაუჩინარდა, მიილია, ვიღაც სხვას დავემსგავსეთ, ოღონდ არა საკუთარ თავს. ქართველმა ხალხმა სიყვარულიც გულწრფელი იცოდა და სიძულვილიც. ახლა შემპარავ, გამორჩენაზე გადასულ ერს დავემსგავსეთ, რომელიც თითქოს მხოლოდ ერთი დღით ცხოვრობს. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ თითქმის ყველა ასეა. ყველა საქმეში ჩვენი ხელმოცარულობა სხვას უნდა გადავაბრალოთ, ხელისუფლებამ ოპოზიციას, ოპოზიციამ - მმართველ გუნდს, მოქალაქემ მეზობელს ან ხელისუფლებას, ან კიდევ ვიღაცას, ოღონდ როგორმე საკუთარ პასუხისმგებლობას გავექცეთ და ყველას დამნაშავედ შევრაცხავთ.**

**ეს ყველას გვეხება, ერსაც, ბერსაც. ერთმანეთთან გაუცხოებული ვართ. პაპასთან ურთიერთობას ვიხსენებდი, რომელიც ჩემი ცხოვრების გზის განმსაზღვრელი გახდა, ჩვენ კი შვილებთან არ შეგვიძლია საუბარი, მაშინვე კამათსა და შეურაცხყოფაზე გადავდივართ.**

ბოლო ხანებში სულ ილია ჭავჭავაძის ჩატეხილი ხიდი მახსენდება, რომელიც ვერა და ვერ გავამრთელეთ. თუ ჩემს შვილებთან საერთო ენა ვერ გამოვნახე, ესე იგი, მე ვარ დამნაშავე. პაპისგან განსხვავებით, მათთან ურთიერთობის **„სწორი ფორმა ვერ მიპოვია".** ის თაობა წავიდა და ჩვენ მათი გზის ღირსეულად გაგრძელება ვერ შევძელით და ამის შედეგია ის, რაც ახლა ხდება.

**ამიტომ ვთვლი თავს დამნაშავედ შვილების, შვილიშვილების წინაშე, იმიტომ, რომ შენზე უკეთესი თუ არ მოდის, შენს წუთისოფელს არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ ჩვენ ისე ვართ გადაგვარებული, ვცდილობთ, ჩვენზე უკეთესი წინ არ გავუშვათ, რადგან ბოღმა და შური გვახრჩობს, როგორ თუ ვინმემ გვაჯობაო. ამ ვითარებაში როგორ შეიძლება ბედნიერებაზე საუბრობდე, როდესაც იმედი დაკარგული გაქვს.**

ამაში ცოტ-ცოტა დანაშაული ყველას მიგვიძღვის. ქვეყნის, მომავალი თაობის წინაშე ეს იმხელა ცოდვაა, რომლის ზიდვაც გაგვიჭირდება. იმედია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოვესწრები ისეთ ახალ წელს, როგორსაც ჩემი ქვეყანა იმსახურებს.

მასალა მოიძია
**მონიკა ჭანტურია**

---

## შემოქმედის სამყარო

# ბედნიერი ვარ, რომ საყვარელ საქმეს ვაკეთებ!



**პროფესიით ეკონომისტი ნინო კევლიშვილი რამდენიმე წელია ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში მეწარმეობის საფუძვლებსა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას ასწავლის. ეკონომისტად არასოდეს უმუშავია და საკუთარი თავი მუდამ ხელოვნებაში წარმოედგინა, რადგანაც ბავშვობიდან კარგად კერავდა. ქალბატონი ნინო უკვე წლებია შესანიშნავ ნამუშევრებს ქმნის. ახლა აფრიკული თემატიკით დაინტერესდა. მიაჩნია, რომ აფრიკელი ქალების განსხვავებული, ყველასაგან გამორჩეული სამყარო, ადამიანებში დიდ ინტერესს იწვევს. თებერვლის ბოლოს მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა იგეგმება. ჩვენი გაზეთის მკითხველებს შემოქმედ ქალბატონთან ინტერვიუს გთავაზობთ:**

● **ქალბატონო ნინო, საინტერესოა, პროფესიით ეკონომისტს როდის გაგიჩნდათ სურვილი, რომ თქვენი საქმიანობა ხელოვნებისთვის დაგეკავშირებინათ?**

– ეკონომიკურზე დედაჩემის დაჟინებული თხოვნით ჩავაბარე და ამას ძალიან განვიცდიდი. არ მომწონდა, საერთოდ არ მიზიდავდა ეს სფერო და ყველა მშობელს ვურჩევ, შვილის მისწრაფებას პატივი სცეს, რათა ყველა თავისი საქმის პროფესიონალი იყოს და სიყვარულით აკეთებდეს საყვარელ საქმეს. პატარაობაში ძალიან მიყვარდა ჭრა-კერვა. გავიდა წლები და 2007 წელს ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში ქალბატონი ქეთევან ადამაძე იყო მაშინ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც მიცნობდა და სკოლაში ეკონომიკის საათები მომცა. მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ნდობისთვის და სამსახურში მიღებისთვის. ასევე №3 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ხათუნა ხარაზიშვილს, რომლის რჩევითაც გავხდი ხელოვნების სერთიფიცირებული მასწავლებელი. მადლობა მეგობრებს, რომლებმაც სტიმული მომცეს.

ბედნიერი ვარ, რომ საყვარელ საქმეს ვაკეთებ.



● **ხელოვნების გარდა მეწარმეობასაც ასწავლით. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს გიმუშავიათ თქვენი პროფესიით, ალბათ, გარკვეულ წილად თქვენი პროფესია მაინც გეხმარებათ...**

– მეწარმეობა საინტერესო საგანია, სადაც ხელოვნების სიყვარული მეხმარება. ვწერთ ბიზნესგეგმას, ვქმნით პროდუქტს და ვყიდით. დიახ, მეწარმეობას ეკონომიკის ცოდნაც ჭირდება და გამოდის, რომ ჩემი დიპლომი და ეკონომიკის ცოდნა ნამდვილად გამომადგა.

● **თქვენ საინტერესო ნამუშევრებს ქმნით. ძირითადად რა თემატიკაზე მუშაობთ და მასალად რას იყენებთ?**

– ნაქარგები, დეკორატიული ხელოვნება მომწონს, ძალიან მარტივად გამომდის ყველაფერი, რასაც მოვინდომებ. ვკერავ, ვქარგავ. მომწონს კოლაჟი. არაფერს ვაგდებ. მასალად ყველაფერს ვიყენებ. ტყავს, ნიჟარებს, ზღვის კენჭებს, ნაყოფის კურკებს, თხილს, კაკლის ნაჭუჭებს და ასე იქმნება კომპოზიცია.

პორტრეტების დამზადება მომწონს, ჯერ თექას ვაძლევ ფორმას და შემდეგ ფერადი ნაჭრებით ვრთავ.

ახლა აფრიკული თემატიკით დავინტერესდი. მსიამოვნებს, როგორ ვასხამ ფრთებს ჩემ იდეას და საბოლოო სახით ზუსტად ის გამოდის, რაც ჩაფიქრებული მქონდა.

● **თქვენი ნამუშევრების შემფასებელი ვინ არის?**

– რა თქმა უნდა, ოჯახი და მეგობრები.

● **რა დრო სჭირდება თითო პორტრეტის შექმნას?**

– ერთი საათი, თუ მზად მაქვს ყველა მასალა და წინასწარ ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ხანდახან კეთების პროცესში მოდის იდეები.

● **სად შეუძლია დამთვალიერებელს თქვენი ნამუშევრების ნახვა?**

– სოციალურ ქსელში ჩემ პირად გვერდზე სახელწოდებით **„ჩემი ნამუშევრები"** აწერია, სადაც ხშირად ვდებ ნამუშევრებს.

● **წლების მანძილზე გარკვეული რაოდენობის ნამუშევრები დაგიგროვდებოდათ. თუ ფიქრობთ, რომ ფართო საზოგადოებას გააცნოთ თქვენი ნამუშევრები, გამოფენა-გაყიდვა მოაწყოთ?**

– თებერვლის ბოლოს ვგეგმავ ჩემი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას. დაახლებით 50-მდე ნამუშევარს წარმოვადგენ. აქტიურად ვემზადები გამოფენისთვის. აფრიკული თემატიკა იმდენად მოსწონთ, რომ გადავწყვიტე ამ მიმართულებით საკმაო რაოდენობის ნამუშევრები შევთავაზო საზოგადოებას. ახლა მინდა ბიზნეს-გეგმა დავწერო და ვაწარმოო ჩემი ხელნაკეთი ნივთები. (გავყიდო ონლაინ). ამიტომაცაა საჭირო ბიზნესგეგმა, რომ ეს ნივთები რეალურად შეფასდეს, თუ რა რაოდენობის და ღირებულების მასალა დაიხარჯა და ბოლოს რა ფასადაა ხელსაყრელი მისი გაყიდვა. მე ხომ სხვადასხვა ხელნაკეთ ნივთებს ვქმნი...

**წარმატებებს გისურვებთ. დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.**

– მადლობა თქვენ, რომ დაინტერესდით თვითნასწავლი ადამიანის შემოქმედებით.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

---

# მეამაყებით და გულწრფელად მიყვარხართ!

**დიდხანს** ვიმუშავე ჩემთვის საყვარელ მუსიკალურ სკოლაში. მრავალი საინტერესო მოგონება მაკავშირებს ამ სკოლასთან და მის პედაგოგიურ კოლექტივთან, რომელიც დღესაც ძალიან მიყვარს და ალბათ, სიკვდილამდე ამ მეტად საყვარელი ხალხის დიდი სითბოთი და პატივისცემით ვიამაყებ.

მახარებს მუსიკალური სკოლის წარმატებები, ყოველწლიურად მრავალ კონკურსებში ღებულობენ მონაწილეობას და დამსახურებული ჯილდოებითაც ხელდამშვენებულები ბრუნდებიან შინ. ასე იყო შარშანაც, როცა ბორჯომში ამირეჯიბის სახელობის კონკურსი გაიმართა. ამ კონკურსში მუსიკალური სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ და მაღალ წარმატებებსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგ **მარინა გაბაშვილის** აღსაზრდელების - ძმების **შალვა, ივანე, ნიკოლოზ არბოლიშვილების,** პედაგოგ **მარინა რატიანის** კლასის აღსაზრდელების - **ოთარ ოთარაშვილის და ლიზი ხაჩიძის** წარმატებები.

მეამაყება მუსიკალური სკოლის პედაგოგების აღიარება, მათ ნამდვილად „ლომის წილი" უძევთ ამ ახალგაზრდების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

მახსოვს ისიც, რომ შარშან დამთავრდა ისტორიული მუსიკალური სკოლის რესტავრაცია, რისთვისაც უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მისამართით.

**მეამაყებით ჩემო საყვარელო ბორჯომელებო, მომავალში მეტი სიკეთე და სიყვარული აჩუქეთ ჩვენს ქალაქს.**

**დალი ქურდაძე.**

### დაფასებული ღვაწლი

# მასწავლებელთა მასწავლებელი

**ათასობით მოსწავლისათვის ბორჯომის №1 საბავშვო ბაღი ჟუჟუნა მასწავლებელთან ასოცირდება. 37 წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჟუჟუნა სიხარულიძემ საზოგადოებისაგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისთვის სამუშაო დღე 9 საათზე იწყება. მუდამ ენერგიულად მიუხარია პატარა აღსაზრდელებთან. მშობლიურ ქალაქად მიიღო და შეიყვარა ბორჯომი, ბორჯომელებმა კი მისადმი კეთილგანწყობა და მადლიერება 2016 წელს ბორჯომის საპატიო მოქალაქედ დასახელებით გამოხატეს.**



**– ჟუჟუნა მასწავლებელი ჩვენი საბავშვო ბაღის სახეა. იგი არა მარტო აღსაზრდელების, არამედ მასწავლებელთა მასწავლებელიცაა. თითოეული მოსწავლე მისი სული და გულია, გარდა იმისა რომ ბავშვებისთვის არის ძალიან კარგი ადამიანი და პედაგოგი, თანამშრომლებისთვისაც საუკეთესო მეგობარია. ყოველთვის ვგრძნობთ მის თანადგომას, არის პირდაპირი და სამართლიანი. ასე დაახასიათა ჩვენი რესპონდენტი საბავშვო ბაღის დირექტორმა ქეთევან გრიგალაშვილმა.**

პროფესიით ფილოლოგმა ბაღში მოხვედრის პირველივე დღეებიდანვე შეძლო მოეპოვებინა გარშემომყოფთა ნდობა და თბილი დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, მისი ცხოვრება უმძიმესი ტრაგედიის წუთებსაც ითვლის, როდესაც ჯერ მეუღლე და შემდეგ 20 წლის ვაჟი საზღვარგარეთ გარდაეცვალა. მძიმე იყო საუბრის თემა, თვალზე მომდგარი ცრემლით. იხსენებს, რომ ამ პატარების სამყარომ დააძლევინა ეს დიდი განსაცდელი. მე ვხედავდი თანამშრომელთა მწუხარე თვალებს, დარდს. ვხედავდი გაბრწყინებულ თვალებს, როდესაც კვლავ დავბრუნდი მათთან. მწუხარების შემდეგ ერთადერთი ქალიშვილისგან შვილიშვილის დაბადება იყო სასწაული განცდა.

ჟუჟუნა მასწავლებლის მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ სკოლისათვის მზაობა. სკოლიდან მადლობებს დღემდე აქტიურად იღებს.

– ყველა სიახლის დაგეგმასა და განხორციელებაში ქალბატონი ქეთევანი გვიდგას გვერდით, მისი დამსახურებაა ჩვენი წარმატებული მუშაობა, მომთხოვნი და საქმის ერთგულია.

– ჩვენ ვიზიარებთ ერთმანეთის სიხარულს, მწუხარებას, გვერდით დგომაც ვიცით. ვამაყობ, რომ ვმუშაობ №1 საბავშვო ბაღში და ჩემი ხელმძღვანელი ქეთევან გრიგალაშვილია.

– ბავშვების გარს შემოხვევა სულ სხვა სიხარულია. დღეს პანდემიის გამო შორიდან გვიწევს მისალმება, დამშვიდობება.

ვცდილობ, ჩემი სიყვარული მათ გულებამდე მივიტანო, როცა ჩემი მოსწავლეები ზრდასრულ ასაკში მხვდებიან, ყველაზე მეტად ვხვდები, რომ მე ეს შევძელი. ჩემი გაზრდილი რომ სითბოთი მკითხულობს, ეს არის ჯილდოც და ხელფასიც.

დღეს, დისტანცია აცილებს ურთიერთობებს, ახლოს არ მიხვიდეთ, შორიდან მიესალმეთ, არ ჩაეხუტოთ... ეს შემდეგ მოგვცემს რთულ სხვა ურთიერთობებს. 45-60 აღსაზრდელიც კი მყოლია ჯგუფში. დღეს 8-9 მოსწავლე გვხვდება მხოლოდ ოთახში.

ახლა თავისუფალ, დამოუკიდებელ მიდგომებს ვანიჭებთ უპირატესობას, თავად მშობელიც ასე ითხოვს. წარსულში მშობელსა და მასწავლებელს შორისაც სხვა დამოკიდებულება გახლდათ. დღეს თამაშით სწავლებით მართლაც თავისუფალი იზრდება და ყალიბდება პიროვნება, მაგრამ სულ თამაშით ვერ ასწავლი ყველაფერს. სამშობლოს სიყვარულს სხვა ახსნა უნდა, სხვანაირად ანთებული თვალები სჭირდება. ახლა თავისუფლების მოყვარული თაობაა, დამოუკიდებელი სივრცე სჭირდებათ, რადგან იკვლიონ, გააკეთონ, დააკვირდენ და ა.შ.

ჩვენი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ურთიერთობები დადებითზე უნდა აიგოს. მისი რჩევა მშობლებისადმი ასეთია:

– ახლოს იყავით შვილებთან, რამდენი ბავშვი მეუბნება, როდესაც ვეტყვი, ამ ზღაპარს ახლა მე წაგიკითხავთ და სახლში დედამ კიდევ წაგიკითხოთ. მეორე დღეს აღსაზრდელი მოდის და მეუბნება: – დედა ტელეფონში იყო, ჩემთვის არ ეცალა არ წამიკითხა. უფრო მეტი სიახლოვე გქონდეთ შვილებთან, მეტი სიყვარული, მოუსმინეთ, ეთამაშეთ მათ და მობილურები გვერდით გადადეთ. ისე მალე გაიზრდებიან, მერე ნამდვილად მოგენატრებათ ეს ძვირფასი დედაშვილობის დრო.

**იზა იანვარაშვილი**

# საბა ქუმარიტაშვილის დებიუტი პეკინში

**პეკინის** მიმდინარე ზამთრის XXIV ოლიმპიურ თამაშებზე ბაკურიანელი მოციგავე **საბა ქუმარიტაშვილი** სამი დაშვების ჯამური შედეგით 34 მონაწილეს შორის 31 ადგილზე გავიდა. მესამე დაშვებისას საბამ თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა - 1:00:036 წუთი, კონკრეტულად მესამე დაშვებისას 29-ე ადგილი დაიკავა, მაგრამ სამი დაშვების ჯამური შედეგით ისევ 31-ე საფეხური ერგო და ლიდერს, გერმანელ იოჰანეს ლუდვიგს +8.849 წამით ჩამორჩა. 21 წლის ქართველმა მოციგავემ ანქინგ ატიონალ შლიდინგ ჩენტრე-ში შაბათს პირველი დაშვებისას დისტანცია 1:00.211 წუთში დაფარა, მეორე ცდაზე კი 1:00.146 წუთი აჩვენა. ქუმარიტაშვილმა იაპონელ სეია კობაიაშის, სამხრეთკორეელ ნამკიუ ლიმსა და ბოსნია-ჰერცეგოვინელ მირზა ნიკოლაევს გაასწრო. საბამ პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე სამივე დაშვებას ჯამში 3:00.393 წუთი მოანდომა და ასპარეზობა დაასრულა.

საბა ქუმარიტაშვილი 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაღუპული მოციგავის, ნოდარ ქუმარიტაშვილის ბიძაშვილია. ბრიტანულმა გამოცემა გარდიანმა საბა ქუმარიტაშვილის ასპარეზობას სტატია მიუძღვნა. მათ ნოდარისა და საბას ოჯახის ისტორია გაიხსენეს. გარდა ამისა, საბა ქუმარიტაშვილის კომენტარიც გამოაქვეყნეს ოლიმპიადაზე ასპარეზობამდე.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ საბა ქუმარიტაშვილი უკმაყოფილო იყო. ის ლიდერებს 3 წამით ჩამორჩა. მისი მონაწილეობა პეკინში არის ტრიუმფი, რომელიც გამძლეობასა და გამბედაობას განასახიერებს. 12 წლის წინ ქუმარიტაშვილის ბიძაშვილი ვანკუვერში მე-13 მოსახვევზე ტრაგიკულად დაიღუპა. 21 წლის ნოდარს ოლიმპიურ დებიუტამდე ერთი ვარჯიშილა რჩებოდა. ახლა ქუმარიტაშვილებიდან ოლიმპიური დებიუტი საბას ექნება, რომელიც ასევე 21 წლისაა, რომელიც ოლიმპიურ ოცნებას აისრულებს, - წერს გარდიანი.



ჩვენი ოჯახის ყველა თაობაში იყო ერთი სპორტსმენი მაინც, ახლა მე და მამაჩემი ტრადიციას ვაგრძელებთ და ნოდარის კვალს მივყვებით. მასზე ფიქრი მტკივნეულია, მაგრამ ძალას მმატებს. ვფიქრობ, ყველა სპორტსმენის მიზანი და ოცნებაა ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა, ამიტომ ორი წლის წინ გადავწყვიტე ამ მიზნის მიღწევა და ახლა აქ ვარ, - წერს **საბა ქუმარიტაშვილი.**

# ჯუმბერ მაისურაძის გამოსათხოვარი

**კიდევ ერთი ბერმუხა წაექცა ბორჯომს. 89 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი გიორგი (ჯუმბერ) ონისიმეს ძე მაისურაძე. ბატონი ჯუმბერი წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა ჯერ სატყეო ტექნიკუმს, შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებელს და ღირსეული წვლილი შეიტანა ახალგაზრდების პროფესიული აღზრდის საქმეში.**

**ბატონი ჯუმბერი ჩამორჩენილ მოსწავლესაც კი ფეხზე წამოაყენებდა, ხოლო ნიჭიერებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ასეთი იყო მსოფლიოს თასის მფლობელი ჭიდაობაში შოთა ჩოჩიშვილი. სახელოვანი სპორტსმენი შემდგომში სამადლობელო წერილებს წერდა თავის პედაგოგს დიდი მზრუნველობის გამოჩენისათვის.**

**ამ სამი ათეული წლის წინ თავს დაატყდა დიდი ოჯახური ტრაგედია. როდესაც მამა სიკვდილის სარეცელზე იწვა, 26 წლის ვაჟი ავტოავარიაში დაეღუპა.**

**ბატონი ჯუმბერი იყო ალალი, კეთილშობილი პიროვნება, გამორჩეული მათემატიკოსი, უყვარდა ჭადრაკი. ხშირად რაიონის პირველობაზე საპრიზო ადგილებს იკავებდა.**

**ხარობდა ჩემი მოწაფეების – შონიების და მესხების მიღწევებით. საჭადრაკო წრის მეცადინეობაზე ხშირად გვსტუმრობდა და ბავშვებს ეთამაშებოდა. თანდათან ძლიერ წინააღმდეგობას რომ უწევდნენ, ხარობდა. ბარბარე შონიას დიდი გულშემატკივარი იყო. უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით. ბოლო თვეებში უხასიათოდ იყო. მკურნალობას აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა. სიკვდილის წინა დღეებში ეს ახოვანი კაცი ქალაქში ვნახე და ღიმილით მელაპარაკა. რას ვიფიქრებდი მის სიკვდილს!**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! ამინ!**

**მეგობრების სახელით უშანგი ჯანგირაშვილი**

# გეპატიჟებით შეხვედრაზე!

**2022 წლის 17 თებერვალს მუსიკალური სკოლის საქტო დარბაზში გაიმართება ბორჯომის საპატიო მოქალაქეთა და საზოგადოება ,,ბორჯომელების" წევრთა შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან.**

**შეხვედრა დაიწყება 14 საათზე. გთხოვთ გვეწვიოთ.**

**საზოგადოება ,,ბორჯომელების" დარბაზის გამგეობა.**

### საკუთარი აზრი

# ბაკურიანის ტყეებთან შექმნილი სახიფათო პრეცედენტი

ბაკურიანის ტყის ნაწილის კერძო პირზე იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ 28 იანვარს სატელევიზიო ეთერში გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ტყის მასივის იჯარით გადაცემა 49 წლით განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე განმარტა, რომ ტყის იჯარით გადაცემის თაობაზე იყო გამოცხადებული კანონის შესაბამისად გათვალისწინებული საჯარო აუქციონი, რომელშიც მონაწილეობა შეეძლო მიეღო ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ კერძო პირს.

აღნიშნული განცხადებიდან გამომდინარე იბადება კითხვა. ბაკურიანი თუ კანონიერად დარჩება ტყის გარეშე, ამით ხელი შეეწყობა ბაკურიანის განვითარებას? ბაკურიანში ტყის პირა დასასვენებელი სივრცე ისედაც თითქმის აღარ არსებობს (უმეტესი ადგილი სამშენებლო მოედნადაა ათვისებული). ტყის მასივში მშენებლობა მიმდინარეობს, ბაკურიანის უხეო მინდორი კი ცენტრალურ პარკადაა გამოცხადებული! აი ასეთია ბაკურიანის განვითარების არსებული ხედვა და პროგრამები. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა, რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს. ბაკურიანის ტყეს უნდა მიეცეს განსაკუთრებული დაცული ტერიტორიის სტატუსი, აიკრძალოს მისი რაიმე ფორმით გაცემა კერძო, ასევე იურიდიულ პირებზე და გაძლიერდეს მისი მოვლა-პატრონობა სახელმწიფოს მხრიდან. მოხარული ვიქნები, თუ უახლოეს მომავალში, ამის თაობაზე ვიხილავ მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესკონფერენციას.

P.S. ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ვიღაცა ტყეს იჯარით აიღებს იმისათვის, რომ ძირს ნაყარი ფიჩხისაგან და გირჩისაგან გაასუფთაოს! და ამაში, თან ფული იხადოს ყოველ წელს (5000 ლარი). იმისათვის ხომ არ აიღებს ტყეს სინამდვილეში ვინმე, რომ საკუთარი ეზოს ფართობი მნიშვნელოვნად გაზარდოს? რამდენიმე ხის ნერგი ჩარგოს იჯარით აღებულ მიწაში და შემდეგ იმ მოტივით რომ, ეს ნერგები გლეხის ძროხამ არ შეჭამოს, ტყე შემოღობოს. სამომავლოდაც, რა იცი, კიდევ რა ხდება, იჯარით გაცემული მიწები საკუთრებაში წლების შემდეგ როგორ გადადის, ამის არაერთი მაგალითია.

დავფიქრდეთ, ბაკურიანის ტყის მასივში რამდენი სასტუმრო და კოტეჯი დგას? მათ პატრონებს საშუალებაც აქვთ და უმრავლესობას შესაძლებელია სურვილიც გაუჩნდეს აწი ტყის ხარჯზე ეზოს ფართი გაზარდონ.

ასეთი პერსპექტივა ბაკურიანის ტყეს და ბაკურიანის განვითარებას არამგონია გამოადგეს.

**ოთარ არბოლიშვილი,**

2021 წლის ადგილობრი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს იყრიდა დამოუკიდებელ მაჟორიტარ დეპუტატად ბორჯომის საკრებულოში ბაკურიანიდან.

# ზაზა ბლიაძის ხსოვნას



**მტკივნეული ერთი წელი გავიდა 27 იანვარს, ჩემი შვილის, ფოთოლეთის მონასტრის ქტიტორის ზაზა ბლიაძის გარდაცვალებიდან. 4 თებერვალს 55 წელი შეუსრულდებოდა. ვულოცავ დაბადების დღეს ზეციურ საქართველოში ჩემს უდიდეს ტკივილს.**

### ეპიტაფია

**აღვადგინე, დავამშვენე**
**ფოთოლეთის ტაძარი,**
**სავანეც აქ დავიმკვიდრე,**
**ჩემი საძვლე აქ არის.**
**ჯადოსნურ ტყეთა შრიალში**
**ზეობს სოჭნარ-ნაძვნარი,**
**ო, როგორ მომხიბვლელია**
**მათი ნაზი ნარნარი.**
**აქ, მიწასთან ცა შერწყმულა,**
**ერთურთს ესალმუნება,**
**აქ ამ წმინდა ადგილს შესწევს**
**ცოდვილთ სულის კურნება.**
**ცივ ლოდს მითბობს დღისით მზე**
**და ღამით მთვარე მაშუქებს,**
**ცისკრის ვარსკვლავიც სხივთ კონას**
**ჩემს საფლავზე აქუჩებს.**
**საამურად რეკავს ზარი**
**მფენი ღვთიურ მადლისა,**
**ღმერთს მადლობა, ამ წალკოტში**
**საფლავი რომ მაღირსა.**

**ყამარ ბიბლიძე-ბლიაძე**
**(ყამარ ბებო)**

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **ჯუმბერ მაისურაძე** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გურამიშვილის ქუჩის №2 ბინის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ **ჯუმბერ მაისურაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბაკურიანის საჯარო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნათია დიაკონაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**
**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**
**გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**
**ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: იზა იანვარაშვილი.**
მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.**
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე